გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 231

2023 წლის 8 დეკემბერი
ქ. გორი

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვის, განათლების, სპორტის, კულტურის და სოციალურ საკითხთა კომისიის 2023 წლის განვლილ პერიოდში გაწეული საქმიანობის ანგარიშის შეფასების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის №1 დადგენილების „გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის თანახმად საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე საკრებულოს წარუდგენს წლიურ ანგარიშს კომისიის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ. ამავე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად კი კომისიის თავმჯდომარე ანგარიშვალდებულია საკრებულოს წინაშე და ვალდებულია წელიწადში ერთხელ მაინც საკრებულოს წარუდგინოს ანგარიში მის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ და წელიწადში ერთხელ მაინც შეადგინოს და გამოაქვეყნოს კომისიის მუშაობის ანგარიში საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული წესით.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად,

1. დადებითად შეფასდეს გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვის, განათლების, სპორტის, კულტურის და სოციალურ საკითხთა კომისიის 2023 წლის განვლილ პერიოდში გაწეული საქმიანობის ანგარიში №1 დანართის (თან ერთვის ერთ ფურცლად) შესაბამისად.

2. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ. მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვის, განათლების, სპორტის, კულტურის და სოციალურ საკითხთა კომისიის 2023 წლის განვლილი პერიოდის ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვის, განათლების, სპორტის, კულტურის და სოციალურ საკითხთა კომისია შედგება 12 წევრისგან. კომისიის თავმჯდომარე გიორგი გოგშელიძე.

კომისიის წევრები: თამარ მურალოვა, ნანი ოქროპირიძე, ბექა ლობჟანიძე, დავით ადუაშვილი, ლიანა ოქროპირიძე, მაია ბოლაშვილი, ბორის გოგიჩაიშვილი, კახა ლობჟანიძე, ნაზი დიდებელი, ნანა ლოთიშვილი, ნუნუ გიორგაშვილი.

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვის ,განათლების, სპორტის, კულტურის და სოციალურ საკითხთა კომისია აქტიურად მუშაობს და ასრულებს მისთვის საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით", გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტითა და კომისიის დებულებით დაკისრებულ უფლება-მოვალეობებს, რომლის ფარგლებშიც 2023 წლის განვლილ პერიოდში კომისიამ განიხილა: განათლების, კულტურის და სპორტის განვითარების მუნიციპალურ პროგრამათა პროექტები; ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკების, მუზეუმების, გამოფენების, სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტების საქმიანობის ხელშემწყობ მუნიციპალურ პროგრამათა პროექტები; ჯანმრთელობის დაცვისა და სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური მომსახურების მუნიციპალურ პროგრამათა პროექტები; თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან მოსახლეობის დამატებითი სოციალური მომსახურების სახეების დაფინანსების შესახებ; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების პირობების დადგენის შესახებ; კანონმდებლობით დადგენილი წესით, უსახლკარო პირების თავშესაფრით უზრუნველყოფის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ.

კომისიამ 2023 წლის განვლილი პერიოდის განმავლობაში სულ ჩაატარა 11 მორიგი სხდომა. აღნიშნულ სხდომებზე კომისიის მიერ სულ განხილულ იქნა 24 (ოცდაოთხი) საკითხი, კომისიის მიერ 24-ი საკითხი შეფასდა დადებითად. 4 (ოთხი) საკითხი კომისიამ წარმოადგინა კვარტალური სამუშაო გეგმის სახით. 2023 წლის 17 ნოემბერს ჩატარდა კომისიების ერთობლივი სხდომა, სადაც განხილულ იქნა გორის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტი პროექტი. კომისია კვარტალურად ადგენდა სამუშაო გეგმებს და მის შესაბამისად მოისმინა გორის მუნიციპალიტეტის მერიის სხვადასხვა სამსახურის და განყოფილების ანგარიში, ასევე მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ზოგიერთი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ანგარიში. კომისია განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით ისმენს შესაბამისი თანამდებობის პირების და საჯარო მოსამსახურეების განმარტებებსა და მოსაზრებებს.

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვის, განათლების, სპორტის, კულტურის და სოციალურ საკითხთა კომისია საკითხების საკრებულოში წინასწარი მომზადების, გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობის, მერიის და მისი სტრუქტურული ერთეულების, აგრეთვე შესაბამისი მიმართულებით მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების კონტროლის მიზნით აქტიურად განაგრძობს მასზედ დაკისრებული უფლებამოვალეობების განხორციელებას.